



## აშხ ၫონსტიტუცია: ၫომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა\*

### გაჰვითილი 4

#### რა არის ၫონსტიტუციური მმართველობა?

##### მართხა გაჰვითილის მიზანი

ეს გაკვეთილი გვაცნობს ორ მთავარ ცნებას: ა) კონსტიტუცია და ბ) კონსტიტუციური მმართველობა. ვინაიდან ეს ცნებები ფრიად მნიშვნელოვანია. მმართველობის არსისა და ჩვენი კონსტიტუციური მმართველობის განვითარების გასაგებად, ვეცდებით, რაც შეიძლება ნათლად განვმარტოთ ისინი.

გაკვეთილის დასასრულს თქვენ შეძლებთ იმის ახსნას, თუ რა არის კონსტიტუცია, რას წარმოადგენს კონსტიტუციური მმართველობა და რა არსებითი განსხვავებაა კონსტიტუციურ და ავტოკრატიულ თუ დიქტატორულ მმართველობებს შორის. თქვენ ასევე შეძლებთ განმარტოთ ქვემოთ ჩამოთვლილი სხვა ძირითადი ცნებები.

##### კონსტიტუცია

##### დაწერილი და დაუწერილი კონსტიტუციები

##### კონსტიტუციური მმართველობა

##### ავტოკრატიული ან დიქტატორული მმართველობა

##### შეზღუდული მმართველობა

##### უმადლესი (ძირითადი) კანონი

##### განკერძოებული კუთვნილება

### „ၫონსტიტუციის“ განსაზღვრება

კონსტიტუცია არის ძირითადი ჩვეულებების, ტრადიციების, წესებისა და კანონების ერთობლიობა, რომელიც ადგენს სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობისა და

\* დასაწყისი იხილეთ ჟურნალის პირველ და მეორე ნომერში.

საქმიანობის ძირითად წესს. კონსტიტუციების უმრავლესობა დაწერილია, ზოგიერთი მხოლოდ ნაწილობრივია დაწერილი, სხვები კი – საერთოდ დაუწერელია.

თუ თქვენ სწავლობთ სახელმწიფოს კონსტიტუციას, შესაძლებლობა გეძლევათ უპასუხოთ ქვემოთ შეკითხვებს, რომლებიც ხელისუფლებისა და მოქალაქეების ურთიერთობას შეეხება.

### ხელისუფლება

- რა არის ხელისუფლების მიზნები?
- როგორ არის ხელისუფლება მოწყობილი?
- როგორ არის ნავარაუდები ხელისუფლების საქმიანობა?

### მოქალაქეები

- ვინ არის მიჩნეული მოქალაქედ?
- არის თუ არა გათვალისწინებული, რომ მოქალაქეებმა რაიმე უფლებამოსილება ან კონტროლი განახორციელონ ხელისუფლების მიმართ? თუ არის, როგორ უნდა განხორციელდეს ასეთი უფლებამოსილება?
- რა უფლებები და მოვალეობებია გათვალისწინებული მოქალაქეებისათვის?

კონსტიტუციის ასეთი განსაზღვრების მიხედვით, ყოველ სახელმწიფოს აქვს კონსტიტუცია. იგი აქვს კარგ მმართველობასაც და ცუდსაც. ზოგიერთ უვარგის მმართველობას ისეთი კონსტიტუცია გააჩნია, რომელშიც შეტანილია მოქალაქეთა ძირითადი უფლებების ნუსხა. თუმცა, ამ უფლებების ჩამონათვალი ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მოქალაქეებს ნამდვილად აქვთ მინიჭებული ეს უფლებები.

მაშ ასე, კონსტიტუციის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კონსტიტუციურ მმართველობას. მაგალითად, თუკი კონსტიტუცია ითვალისწინებს ერთი, რამდენიმე, ან თუნდაც, მრავალი პიროვნების მიერ განუსაზღვრელი პოლიტიკური უფლებამოსილების განხორციელებას, ასეთი კონსტიტუცია ვერ გამოდგება კონსტიტუციური მმართველობის საფუძვლად. ასევე, თუ კონსტიტუცია ადგენს, რომ ხელისუფლების უფლებამოსილებანი შეზღუდულია, მაგრამ არ ითვალისწინებს ასეთი შეზღუდვის რეალურ საშუალებებს, ვერც ასეთი კონსტიტუცია გამოდგება კონსტიტუციური მმართველობის საფუძვლად.

## „კონსტიტუციური მმართველობის“

### განსაზღვრება

კონსტიტუციური მმართველობის არსს რომ ბოლომდე ჩავწვდეთ, საჭიროა ავტოკრატიულ და დიქტატორულ მმართველობებთან მისი შედარება.

ავტოკრატიული ან დიქტატორული მმართველობისას, იმისდა მიუხედავად, ერ-



თი პიროვნებაა მმართველი თუ რამდენიმე, ხელისუფლება შეუზღუდავია. პიროვნება ან პიროვნებანი, რომლებიც, საბოლოოდ განაგებენ ხელისუფლებას, როგორც მოესურვებათ, ისე ეპყრობიან სახელმწიფოს მოქალაქეებს და რესურსებს.

კონსტიტუციური მმართველობის დროს იმ პირის ან პირთა ჯგუფის უფლებამოსილებანი, ვინც ხელისუფლებას განაგებს, შეზღუდულია კანონთა და დამკვიდრებულ ჩვეულებათა ერთობლიობით, რასაც კონსტიტუცია ეწოდება და რომელსაც ისინი უნდა დაემორჩილონ და ემორჩილებიან.

როგორც უკვე შეიტყვეთ, ყოველ ხელისუფლებას აქვს კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრავს მისი შექმნისა და საქმიანობის წესს, მაგრამ, მხოლოდ კონსტიტუციური მმართველობისას მოქმედებს კონსტიტუცია, რომელიც მიჩნეულია უმაღლეს კანონად და რომელსაც უნდა დაემორჩილონ ხელისუფლების მესვეურები.

## უმაღლესი (ძირითადი) კანონის ნიშან-თვისებაები

კონსტიტუციური მმართველობისას, კონსტიტუცია ანუ უმაღლესი (ძირითადი) კანონი შემდეგი ნიშან-თვისებებით ხასიათდება:

- მოქალაქეთათვის აკანონებს სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების ძირითად უფლებებს.
- ხელისუფლებას ავალდებულებს ამ უფლებების დაცვას და აკისრებს შესაბამის პასუხისმგებლობას.
- აწესებს ხელისუფლების მესვეურთა შეზღუდვებს მათი უფლებამოსილებების გამოყენებისას: ა) მოქალაქეთა უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით; ბ) რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით და გ) კონფლიქტებზე კონტროლის სფეროში.
- აწესებს განკერძოებული კუთვნილების პრინციპს, რომელიც ნიშნავს, რომ არსებობს მოქალაქეთა ცხოვრების ისეთი სფეროები, რომლებთანაც სახელმწიფოს არაფერი ესაქმება და ამიტომ შეუვალია ხელისუფლებისათვის.
- კონსტიტუცია შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მოქალაქეთა ფართო წარმომადგენლობის თანხმობით, თანაც, დადგენილი და საყოველთაოდ ცნობილი პროცედურის შესაბამისად.

## როგორი მმართველობა შეიძლება იყოს კონსტიტუციური მმართველობა

თეორიულად შესაძლებელია ისეთი კონსტიტუციური მმართველობა, რომელსაც ერთი პირი ან მცირე ჯგუფი განაგებს, უკეთეს იგი ემორჩილება კონსტიტუ-

ციით – „უმაღლესი ძირითადი კანონით“ მის უფლებამოსილებაზე დაწესებულ შეზღუდვებს.

მაგრამ ისტორიის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ხშირად წარმოიშობა სირთულეები, როდესაც კონსტიტუციურ მმართველობას ერთი პირი ან პირთა მცირე ჯგუფი წარმართავს. თუ ხელისუფლება რჩეულთა უმცირესობას გადაეცემა, ძნელია ირწმუნო, რომ ისინი დაემორჩილებიან კონსტიტუციით მათთვის დაწესებულ შეზღუდვებს. ასეთ სახელმწიფოში მმართველები გააკონტროლებდნენ მის შეიარაღებულ ძალებს და სამართალდამცავ უწყებებს. მოქალაქეთა რომელ ჯგუფს ექნება ამ შემთხვევაში უფლებამოსილება, აიძულოს ხელისუფალნი, რომ კონსტიტუციას დაემორჩილონ? ისტორია და თანამედროვე მოვლენები ნათელიყოფს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების არასწორმა გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას, ან სულაც ლახვარი ჩასცეს მოქალაქეთა სიცოცხლეს, თავისუფლებასა და საკუთრებას.

## პრობლემის გადაწყობა „დამფუძნებელთა“ შიში ხელისუფლების ბოროტად გამოყენების გამო

ისტორიის ცოდნისა და ბრიტანეთის მმართველობასთან ურთიერთობის თავიანთი გამოცდილების გამო, არ არის საკვირველი, რომ „დამფუძნებლებს“ ძალზე ეშინოდათ სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლო ბოროტად გამოყენებისა. მაგალითისათვის გაეცანით ნაწყვეტებს რამდენიმე ყველაზე უფრო გამოჩენილი „დამფუძნებლის“ ნაშრომებიდან, ხოლო შემდეგ შეამოწმეთ თქვენი პასუხები შეკითხვებზე.

„გადაეცით მთელი ხელისუფლება მრავალთ და ისინი დათრგუნავენ მცირეთ. მიეცით მთელი ძალაუფლება მცირეთ და ისინი დათრგუნავენ მრავალთ“ (ალექსანდერ ჰამილტონი. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე. 1787 წელი).

„ორ ქვენაგრძნობას უძლიერესი გავლენა აქვს ადამიანთა საქმიანობაზე. ესენია ამპარტავნება და სიხარბე: ძალაუფლების და ფულის სიყვარული“ (ბენჯამინ ფრანკლინი, ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე და ფილოსოფოსი, 1787).

„ადამიანის ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ ვისაც ხელთ უპყრია ძალაუფლება, უმაღლესი გადაამეტებს მას, როგორც კი ამის საშუალება მიეცემა“ (ჯორჯ მეისონი, ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე. 1787).

1. განმარტეთ ეს თვალსაზრისი ადამიანის ბუნების შესახებ, რომელიც გადმოცემულია „დამფუძნებელთა“ ზემო მოყვანილ ციტატებში.



2. თუ თქვენ იზიარებთ ამ შეხედულებას, მაშინ რა სახის „მეხამრიდებს“ დაუყენებდით საკუთარ ხელისუფლებას მისი ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ?

## ცოდნის ზომოვნება და ზისწავლილი მასალის გამოყენება

1. რა არის კონსტიტუცია? რა შეგიძლიათ თქვენ შეიტყოთ ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელისუფლების შესახებ მისი კონსტიტუციის შესწავლით?
2. ყველა სახელმწიფოს აქვს კონსტიტუცია, მაგრამ ყველას როდი აქვს კონსტიტუციური მმართველობა. განმარტეთ ის არსებითი განსხვავება, რომელიც არსებობს კონსტიტუციურ მმართველობასა და ავტოკრატიულ ან დიქტატორულ მმართველობას შორის.
3. რა ნიშან-თვისებებით ხასიათდება კონსტიტუციური მმართველობის „უმადლესი ძირითადი კანონი“?
4. გადასინჯეთ გაკვეთილის დასაწყისში ჩამოთვლილი ძირითადი ცნებები და დარწმუნდებით, რომ თქვენ შეგიძლიათ მათი განმარტება.

## გაქვეთილი 5

### როგორ ზიიძლება მოაწყოს აონსტიტუციური მმართველობა, როგელიც აგვაცილავს ხალისუფლების ბოროტად გამოყენებას?

#### მხუთა გაქვეთილის მიზანი

ბოლო გაკვეთილიდან თქვენ შეიტყვეთ ამბავი „დამფუძნებელთა“ შიშისა იმის გამო, რომ შესაძლებელია ხელისუფლების ბოროტად გამოყენება ხალხის საზიანოდ. ეს შიში არ იყო უსაფუძვლო, თუ მხედველობაში მივიღებთ მათ ცოდნას ისტორიაში და შეხედულებას ადამიანურ ქვენაგრძნობებზე. პირველი ნაწილის ეს დასკვნითი გაკვეთილი შეეხება „დამფუძნებელთა“ ზოგიერთ იდეას, როგორ მოეწყოს ხელისუფლება ისე, რომ გამწელდეს მისი ბოროტად გამოყენება.

ამ გაკვეთილის შესწავლის შემდეგ, თქვენ შეძლებთ ახსნათ ქვენოთ ჩამოთვლილი იდეები და ჩვენს ხელისუფლებაში მათი გამოყენების შესატყვისი მაგალითებიც მოიყვანოთ.



ნონმდებლო ხელისუფლებას აქვს მინიჭებული. ეს საკანონმდებლო უფლებამოსილება, თავის მხრივ, გაყოფილია წარმომადგენელთა პალატასა და სენატს შორის, რომლებიც ერთმანეთს აკონტროლებენ. გარდა ამისა, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას ეძლევა კანონმდებლის ამ უფლებამოსილების კონტროლის საშუალებები. მაგალითად:

- პრეზიდენტს შეუძლია გააკონტროლოს კონგრესის უფლებამოსილება მის მიერ მიღებულ კანონებზე ვეტოს დადებით.
- ხოლო უზენაეს სასამართლოს შეუძლია გააკონტროლოს კონგრესის უფლებამოსილება მის მიერ მიღებული კანონების არაკონსტიტუციურად ცნობითა და ბათილად გამოცხადებით.

უპირატესად ასევე ხორციელდება სხვა ხელისუფლებათა მიერ პრეზიდენტისა და უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებების კონტროლი. ამ სისტემის შესახებ უფრო მეტს შეიტყობთ მომდევნო გაკვეთილებში.

## კონსტიტუციური მმართველობის სირთულე

კონსტიტუციური მმართველობის მოწყობის სირთულეები ხშირად დიდ დროს მოითხოვს საქმის გასაკეთებლად. ფაქტობრივად, შეუძლებელია რაიმეს გაკეთება მძლავრი და დაპირისპირებული ინტერესების არსებობისას.

შეიძლება უცნაურად გამოიყურება, მაგრამ ამ „არაეფექტიანობას“ „შემქმნელები“ უპირატესობად მიიჩნევენ. ბევრი ახლაც ფიქრობს, რომ ასეთი სირთულეების შედეგად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება უმჯობესი იქნება.

## ცოდნის შემოწმება და შესავალი მასალის გამოყენება

1. ხელისუფლების რა უფლებამოსილებანია გაყოფილი, ჩვეულებრივ, თანამედროვე კონსტიტუციურ მმართველობაში? რატომ?
2. ჩვენი ხელისუფლების რომელ განშტოებებს ეძლევა თქვენს მიერ იდენტიფიცირებული უფლებამოსილებანი?
3. კონსტიტუციური მმართველობისას ცალკეული ხელისუფლება ხშირად „კონტროლდება“ და „წონასწორდება“ სხვა ხელისუფლების მიერ. რატომ? მოიყვანეთ ამ „კონტროლისა და გაწონასწორების“ მაგალითები.
4. ხელისუფლებათა გაყოფამ და თანაზიარობამ შესაძლოა სათუო გახადოს საერთო პრობლემებზე სწრაფი რეაგირება. როგორ ფიქრობთ, რატომ ამჯობინეს „შემქმნელებმა“ ხელისუფლების სწორედ ასეთი მოწყობა სხვა, შესაძლოა უფრო ეფექტიან მმართველობას? თქვენ ეთანხმებით მათ? რატომ?

## ნაწილი მეორე: ისტორია და გამოცდილება

### მეორე ნაწილის მიზანი

პირველ ნაწილში თქვენ შეისწავლეთ ბუნებითი უფლებების ფილოსოფიის, რესპუბლიკანიზმისა და კონსტიტუციური მმართველობის ის რამდენიმე ძირითად იდეა, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს „შემქმნელთა“ აზროვნებაზე. მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი ზეგავლენა. ბევრმა მათგანმა შეისწავლა დასავლური ცივილიზაციის მმართველობის ისტორია. უმრავლესობას კი ამ საქმეებში ჰქონდა პირადი გამოცდილებაც, რომელიც მათ რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ შეიძინეს. ეს ნაწილი თქვენ საშუალებას მოგცემთ, თვალი გაადევნოთ იმ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებსა და გამოცდილებას, რომლებმაც არსებითი როლი შეასრულეს ჩვენი კონსტიტუციის დაწერისას.

### გაჩვენეთ 6

#### კონსტიტუციური მმართველობის როგორი ძირითადი იდეები დაიქმნა ინგლისის ხალისუფლების სისტემაში?

### გაეჩვენეთ გაჩვენების მიზანი

ეს გაკვეთილი აღწერს ინგლისში კონსტიტუციური მმართველობის ევოლუციას. მისი წაკითხვისას გულდასმით დააკვირდით, როგორ განვითარდა თქვენს მიერ შესწავლილი ძირითადი იდეები მმართველობის შესახებ ინგლისის ისტორიაში.

გაკვეთილის დამთავრებისას შესაძლებლობა გექნებათ ახსნათ ინგლისის კონსტიტუციური მმართველობის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მოვლენა. თქვენ საშუალება გექნებათ, აგრეთვე, განმარტოთ ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი იდეები და ცნებები.

**ხელისუფლების წყარო**

**მეფეთა ღვთაებრივი უფლება**

**ვეშვერდობი**

**ფეოდალური მმართველობა**

**სასახლის კარი**

**დიდგვაროვნები**

**უბრალო ხალხი**

**ხელისუფლების გაწონასწორება**

**დაბალანსებული კონსტიტუცია**

**მაგნა ქარტა**





## ინგლისის მართვალობის სათავეები

ქრისტეს დაბადებიდან პირველი ათასწლეულისა და მეტი ხნის განმავლობაში ინგლისი დაყოფილი იყო სხვადასხვა ტომად და თითოეულ მათგანს საკუთარი ბელადი ან მეფე მართავდა. ამ ადრეულ მეფეებს, როგორც ტომთა ყველაზე ძლიერ და გავლენიან წევრებს, არჩევდნენ მრჩეველთა სათათბიროები. მრავალი წლის განმავლობაში ეს ტომები ერთმანეთს ეომებოდნენ. საბოლოოდ, ქვეყნის ყველა ტომი ერთი მეფის მმართველობის ქვეშ გაერთიანდა.

მას შემდეგ, რაც ინგლისი ქრისტიანული ქვეყანა გახდა, მეფეები აცხადებდნენ, რომ მათი ხელისუფლების წყარო იყო „ღვთის ნება“. ეს იდეა გავრცელდა და დამკვიდრდა მეფეთა ღვთაებრივი უფლების სახელწოდებად.

ინგლისის მონარქიის ადრეულ ხანაში ყველა ადამიანი მეფის მმართველობას ექვემდებარებოდა. ამიტომაც მათ „ქვეშევრდომებს“ ეძახდნენ. მეფე კი თავის კონტროლს ახორციელებდა ნდობით აღჭურვილი მრჩეველთა სათათბიროს მეშვეობით.

იმ დროს ინგლისი საკმაოდ დიდი ქვეყანა იყო იმისათვის, რომ იგი ოდენ ერთ პიროვნებას ემართა, ვინაიდან არ არსებობდა გადაადგილების ან კავშირგაბმულობის სწრაფი და ეფექტიანი საშუალებები. მეფეთა უმრავლესობა ამჯობინებდა უბრალოდ ნება დაერთო ხალხისათვის, რათა ადგილებზე მათ თავად გაეკონტროლებინათ საკუთარი თავი, წლების მანძილზე გამომუშავებული ჩვეულებების საფუძველზე.

## ფეოდალური მართვალობა

ინგლისის მმართველობაში უმნიშვნელოვანესი ცვლილება მოხდა 1066 წლის 14 ოქტომბერს, როდესაც ნორმანთა ბელადმა, უილიამ დამპყრობელმა, ჰასტინგის ბრძოლაში დაამარცხა მეფე ჰაროლდი და დაასრულა ინგლისში შეჭრა. ამის შემდეგ ინგლისში დამკვიდრდა მმართველობის ახალი, ფეოდალური სისტემა. ფეოდალური მმართველობა შემდეგი ნიშნებით ხასიათდებოდა:

- ხალხი ქვეყნის შიგნით დიფერენცირებული იყო სამ ჯგუფად, რომელსაც „ფენები“ ეწოდებოდა. მათ შორის იყვნენ: ა) სასახლის კარის მესვეურნი, ანუ ისინი, ვინც მეფის, დედოფლის და მათი ოჯახის წევრებს წარმოადგენდნენ; ბ) დიდგვაროვანნი, რომლებიც აერთიანებდნენ „ლორდებსა“ და „ლეიდიებს“, ისინი მეფის ან დედოფლის მთავარი მიმდევრები იყვნენ და ატარებდნენ ჰერცოგის ან ბარონის წოდებას; გ) უბრალოები, ანუ „უბრალო ხალხი“, აქ შედიოდა რაინდთა, ვაჭართა და გლეხთა სხვადასხვა ჯგუფი. იმ დროს გლეხებს „სერფები“ ეწოდებოდა, რადგან ისინი არ იყვნენ თავისუფალნი და მათ იძულებით ამუშავებდნენ მიწაზე.



- ინგლისის მთელი ტერიტორია მეფის ან დედოფლის საკუთრებად განიხილებოდა, ყველა, ვინც სამეფოში ცხოვრობდა, მონარქის მმართველობას ექვემდებარებოდა.
- ვინაიდან, გასაკონტროლებელი იყო ესოდენ დიდი ტერიტორია, მეფე ან დედოფალი სამეფოს მართვის გარკვეულ მოვალეობას და პასუხისმგებლობას დიდგვაროვნებს აკისრებდა. მათ ჰქონდათ ნებართვა, რომ სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გაეკონტროლებინათ სამეფო ტერიტორიის ნაწილი და იქ მცხოვრები უბრალო ხალხი. ხელისუფლების ასეთი მოხერხებულად განაწილება სასახლის კარსა და დიდგვაროვანთა შორის, საბოლოო ჯამში, გზას იკვლევდა მმართველობის ახალი სისტემის ჩამოყალიბებისაკენ, რასაც სულ მალე შეიტყობთ.

## გაგებულის შემოწმება

1. რას აცხადებდნენ ადრინდელი ინგლისის მეფეები თავიანთი ხელისუფლების ანუ საკუთარი ხალხის მართვის უფლების წყაროდ? რით განსხვავდება იგი შეერთებულ შტატებში არსებული ხელისუფლების წყაროსაგან?
2. რა იყო წყარო დიდგვაროვანთა უფლებამოსილებისა, ემართა მათდამი დაქვემდებარებული ხალხი? შეადარეთ იგი უფლებამოსილების წყაროს ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი რანგის მოხელისა, რომელსაც ასახელებს პრეზიდენტი და თანხმობას აძლევს კონგრესი.
3. როგორ ინაწილებდნენ მეფეები თავიანთ უფლებამოსილებას ინგლისის ფეოდალურ სისტემაში?

## MAGNA CARTA და ჯონსტიუციური მმართველობის განვითარება

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება ინგლისის მმართველობის ისტორიაში 1215 წელს მოხდა. ეს თარიღი მნიშვნელოვანია ინგლისის კონსტიტუციური მმართველობის განვითარებისათვის, რადგან ამ წელს მეფის ხელისუფლება შეიზღუდა დაწერილი დოკუმენტით, რომელსაც Magna Carta ეწოდა.

ამ დროისათვის ინგლისის მეფეებისა და დედოფლებისათვის ტრადიციად იქცა დიდგვაროვნებთან ხელისუფლების განაწილება. 1215 წელს მეფე ჯონმა სცადა უკან დაებრუნებინა ზოგიერთი ის უფლებამოსილები, რომლებსაც ასე დაეჩვია თავადაზნაურობა. ამას შედეგად მოჰყვა ომი მეფესა და დიდგვაროვანთა შორის, ომი, რომელიც მეფის დამარცხებით დასრულდა.

ამის კვალობაზე დიდგვაროვნებმა აიძულეს მეფე, ხელი მოეწერა Magna Carta-ზე. აქ ჩამოთვლილი იყო ის ტრადიციული უფლებამოსილებანი, რომელთა ჩამორ-



თმევის უფლება მეფეს არ ჰქონდა. ამ სახის გარანტირებულ უფლებამოსილებათა რიგს მიეკუთვნებოდა: ა) მეფის კონტროლისაგან ეკლესიის თავისუფლება; ბ) ინგლისის სასამართლოების დამოუკიდებლობა; გ) მიწის მესაკუთრეთა უფლება, გადაეცათ იგი უფროსი ვაჟისათვის; დ) მიწის მფლობელთა უფლება სამართლიანი მართლმსაჯულებისა; ე) გადაადგილების უფლება და ვ) საჭიროების გარეშე მათი სახლების გაჩხრეკისაგან გათავისუფლება.

ადრეული ინგლისური ჩვეულებები და ტრადიციები, აგრეთვე Magna Carta, იცავდნენ გარკვეულ ძირითად უფლებებს, მაგრამ, ძალზე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ეს უფლებები არ გამოიყენებოდა ინგლისის მთელი მოსახლეობის მიმართ. ვისაც საკუთრება გააჩნდა, გაცილებით მეტი უფლებები ენიჭებოდა, ვიდრე ქალებს, ბავშვებს ან მათ, ვისაც საკუთრება არ ჰქონდა.

## გაგზაულის შემოწმება

1. გააცნობიერეთ და ახსენით ზემოთ აღწერილი კონსტიტუციური მმართველობის ძირითადი იდეები.
2. რა ძირითად უფლებებს ითვალისწინებდა Magna Carta და რა იყო მათი წყარო? როგორ ფიქრობთ, რომელი უფლებები შეიტანეს „შემქმნელებმა“ ამათგან ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში?

## უფლებამოსილებათა განმარტება ხელისუფლების განხორციელებით შორის

კონფლიქტი მეფესა და დიდგვაროვანთა შორის Magna Carta-ს ხელმოწერის შემდეგაც გაგრძელდა. Magna Carta-მ ნათელჰყო, თუ როგორ შეიძლება მომარჯვებულ იქნას დაწერილი დოკუმენტი ან კონსტიტუცია სახელმწიფო ხელისუფლებისათვის შეზღუდვების დასაწესებლად. შემდგომი დიდი ცვლილება ინგლისის მმართველობაში ხელისუფლებათა გაყოფით გამოიხატა.

1258 წელს მეფე ჰენრი III და დიდგვაროვანნი შეთანხმდნენ, მეფისათვის რჩევების მისაცემად, შეექმნათ ახალი სათათბირო, რომელსაც პარლამენტი ეწოდა. მომდევნო 30 წლის განმავლობაში პარლამენტი იქცა ხელისუფლების განშტოებად, რომელიც წარმოადგენდა სამეფოს ყველაზე გავლენიან ფენებსა და ჯგუფებს. ის ორი პალატისაგან შედგებოდა: ლორდთა პალატა, რომელიც დიდგვაროვანთა ვადანაურთა ინტერესებს იცავდა და თემთა პალატა, რომელიც წარმოადგენდა „უბრალო ხალხს“. და მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის „უბრალო ხალხის“ უმრავლესობა უკვე იყო დიდი ოდენობით მიწის მესაკუთრე, იგი მაინც არ განეკუთვნებოდა დიდგვაროვანთა ფენას.

ასწლეულების განმავლობაში სასახლის კარი, დიდგვაროვანნი და „უბრალო ხალ-

ხი“ ერთმანეთს ძალაუფლებისათვის ებრძოდნენ. მაგრამ ვერც ერთმა ჯგუფმა ვერ შესძლო მმართველობის სრული და ხანგრძლივი კონტროლი. მმართველობის კონტროლისათვის ამ ბრძოლას დრამატული ისტორია აქვს. თვალი გაადევნეთ მაგალითისათვის იმ მოვლენებს, რომლებიც მოხდა 1621-1689 უმნიშვნელოვანეს წლებში. ეს არის ამერიკაში პირველი ინგლისური კოლონიების შექმნის ხანა.

- 1621 წელი. თემთა პალატის წევრები დაჟინებით მოთხოვენ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას. მეფე ჯეიმს I-მა ამას მომდევნო წელს პარლამენტის დათხოვნით უპასუხა.
- 1628 წელი. პარლამენტის წევრებმა აიძულეს მეფე, ხელი მოეწერა უფლების პეტიციაზე, რომელიც მოიცავდა წარსულში ინგლისელების მიერ მოპოვებულ თავისუფლებებს და იმ ჩვეულებებს, რომლებითაც ისინი ცხოვრობდნენ და თავს ინახავდნენ. ამიერიდან ამ ჩვეულებებმა, ტრადიციებმა და თავისუფლებებმა ნათელი ასახვა ჰპოვეს ოფიციალურ, დაწერილ დოკუმენტში, რომელიც შეთანხმებულ იქნა პარლამენტში და ხელმოწერილი მეფის მიერ.
- 1641 წელი. პარლამენტი საკმაოდ მოძლიერდა საიმისოდ, რომ გამოეცა კანონი, რომლითაც მისი თანხმობის გარეშე, მეფეს აღარ ჰქონდა პარლამენტის დათხოვნის უფლება.
- 1649 წელი. ინგლისის სამოქალაქო ომის დროს პარლამენტი იმდენად მოღონიერდა, რომ ლალატისთვის გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა მეფე ჩარლზ I.
- 1653-1658 წლები. ინგლისელმა გენერალმა ოლივერ კრომველმა ხელისუფლება ჩაიგდო ხელში და აბსოლუტურად გააუქმა მეფისა და ლორდთა პალატის ყველა ტიტული და თანამდებობა.
- 1660 წელი. მონარქია აღსდგა და გამეფდა ჩარლზ II.
- 1668 წელი. მეფე ჯეიმს II აიძულეს ინგლისიდან გაეცეულიყო მმართველობის თვითნებური მეთოდების გამო. ამით ბოლო მოეღო „მეფეთა ღვთაებრივი უფლების“ დოქტრინას.
- 1689 წელი. შემწყნარებლობის აქტმა გაზარდა ინგლისელთა უმრავლესობის რელიგიური თავისუფლება – რელიგიური ჯგუფების წევრებს ებოძათ მათი სარწმუნოების აღმსარებლობის უფლება.
- 1689 წელი. პარლამენტმა შექმნა უფლებათა ბილი.

## ინგლისის უფლებათა ბილი

ინგლისის 1689 წლის უფლებათა ბილმა აღადგინა მეფე ჯეიმს II-ის მიერ დარღვეული ხელისუფლების ბალანსი მეფესა და პარლამენტს შორის. მეფეებსა და დედოფლებს არ ეძლეოდათ: ა) პარლამენტის თანხმობის გარეშე გადასახადთა



აკრეფის უფლება; ბ) პარლამენტში სიტყვის თავისუფლებასა და დებატებში ჩარევის უფლება; გ) მშვიდობიანობის დროს არმიის შენარჩუნების უფლება (ის შეიძლება გამოეყენებინათ ხელისუფლების გადამეტებისათვის); დ) თავდებობისათვის გადაჭარბებული მოთხოვნის ან სასტიკი სასჯელის გამოყენების უფლება ბრალდებულთა ან მსჯავრდებულთა მიმართ, ან ე) იმის უფლება, რომ ნებადართულად გამოეცხადებინათ პარლამენტის მიერ მიღებული კანონების შესრულება, როგორც ეს თავის დროზე მეფე ჯეიმსმა გააკეთა.

უფლებათა ბილი ითვალისწინებდა, აგრეთვე, შემდეგ პრინციპებს: ა) ყველა უნდა დაემორჩილოს კანონს, თვით მეფეცა და პარლამენტიც; ბ) არჩევნები უნდა იყოს თავისუფალი და გ) ხალხს აქვს იარაღის შენახვისა და ტარების უფლება.

## განონასწორებადი უფლებამოსილებანი და წარმომადგენლობითი მმართველობა

თქვენ ნათლად შეგიძლიათ დაინახოთ, თუ როგორ მოხდა ინგლისში დროის შედარებით მცირე მონაკვეთში ხელისუფლების გადაბალანსება მეფისგან პარლამენტისაკენ. წარმომადგენლობითი მმართველობის ძირითადმა იდეამ მყარად მოიკიდა ფეხი. მაგრამ, მხოლოდ მესაკუთრეებს ჰქონდათ ხმის მიცემის და თემთა პალატის წევრობის უფლება. დღესდღეობით, უმრავლესობა ასეთ მმართველობას კორუმპირებულად მიიჩნევს, რადგან ეს ადამიანები ხშირად საკუთარ ინტერესებს ემსახურებოდნენ საერთო კეთილდღეობის ხარჯზე.

1707 წელს ინგლისი და შოტლანდია (იმ დროისათვის საკუთარი პარლამენტის მქონე ქვეყნა) შეთანხმდნენ, უელსთან ერთად შეექმნათ დიდი ბრიტანეთის სამეფო. ამიტომ ამ თარიღის შემდგომ მიმდინარე მოვლენებში ინგლისი ამ წიგნში მოიხსენიება, როგორც დიდი ბრიტანეთი.

## ბრიტანეთის კონსტიტუციური მონარქია

კოლონიური პერიოდის მანძილზე ბრიტანეთის მმართველობა სულ უფრო მეტად იზღუდებოდა კონსტიტუციით, რომელიც შეიცავდა:

- დოკუმენტებისა და ჩვეულებათა დასტას, Magna Carta-ს და ინგლისის უფლებათა ბილის ჩათვლით, რომელმაც შეზღუდვები დაუწესა სახელმწიფო ხელისუფლებას და გამოკვეთა თავისუფალი ინგლისის უფლებები.
- პასუხისმგებელი მმართველობის სისტემას, რომელშიც მეფის მიერ დანიშნული მინისტრები უშუალოდ პარლამენტის წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი.
- სისტემას, რომელშიც აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებანი გაყოფილია მონარქს, პარლამენტსა და სასამართლოს შორის.

ბრიტანეთის მმართველობის „გაწონასწორებულმა კონსტიტუციამ“ დიდი მოწონე-

ბა ჰპოვა სხვა ქვეყნებში. ფრანგი პოლიტიკური ფილოსოფოსი მონტესკიე ბრიტანეთის მმართველობას „ამ მშვენიერ სისტემას“ უწოდებდა, რადგან გრძნობდა, რომ იგი სრულყოფილად იყო გაწონასწორებული და, ამ მხრივ, ერთადერთი მსოფლიოში, როდესაც კონსტიტუცია უზრუნველყოფდა პოლიტიკურ თავისუფლებას.

## პრობლემის გადაწყობა

შეავსეთ ქვემოთ სქემა ყოველი ძირითადი იდეის გასწვრივ ბრიტანეთის მმართველობიდან შესაბამისი მაგალითის მოყვანით.

## ბრიტანეთის მმართველობა იდეა

1. ძირითადი უფლებები
2. შეზღუდული მმართველობა
3. გაყოფილი უფლებამოსილებანი
4. საზიარო უფლებამოსილებანი
5. თანხმობა
6. წარმომადგენლობითი მმართველობა

სავარჯიშოს დასასრულს მოიყვანეთ ჩვენს ამჟამინდელ ხელისუფლებაში ზემოთ იდეების გამოყენების თითო მაგალითი.

## ცოდნის შემოწმება და შესწავლილი მასალის გამოყენება

1. რა არის *Magna Carta*? ახსენით, რატომ არის ის მნიშვნელოვანი ინგლისში კონსტიტუციური მმართველობის განვითარებისათვის.
2. მეჩვიდმეტე საუკუნის ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შორის პარლამენტმა მოიგო, ინგლისის 1689 წლის უფლებათა ბილის მიხედვით, ჩამოთვალეთ ის შეზღუდვები, რომლებიც მეფის ხელისუფლებაზე დაწესდა პარლამენტის გამარჯვების გამო.
3. განმარტეთ, რომელი დებულებები აისახა ჩვენს კონსტიტუციაში ინგლისის უფლებათა ბილიდან.
4. როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა, რომ კონსტიტუციური მმართველობა, უპირატესად, მესაკუთრეებს წაადგა? რატომ არ მიეცა ეს უფლებები ქალებს ან უპოვართ?

ინგლისურიდან თარგმნის:  
 მინდია უგრაიხალიძე და ვიქტორ ყიფიანაძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)